.

დასკვნა

აუდიტორული მომსახურეობის შესახებ

დამკვეთი :ა(ა)იპ ზესტაფონის მ.სალაძის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი- საფეხბურთო კლუბი “მარგვეთი 2006” (ს/კ 430026802)

მისამართი: ზესტაფონი, ასლანიკაშვილის სანაპირო, რუსთაველის ქ № 1 ა

შემსრულებელი : შპს “აუდიტი XXI” (ს/კ 204420803)

მისამართი: ქ. თბილისი, კრწანისის ქ 16/1

მომსახურების საფუძველი: ხელშეკრულება

შედგენის თარიღი: 25 მაისი 2026 წ.

ა(ა)იპ ”ზესტაფონის მ.სალაძის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის მენეჯმენტს

ა(ა)იპ - “ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდს”-ს

დასკვნა იმ აუდიტორული მომსახურების შესახებ, რომელიც წარმოადგენს იმ შეთანხმებული პროცედურების შესახებ ანგარიშს, თუ რამდენად შეესაბამება ა(ა)იპ ზესტაფონის მ.სალაძის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი-საფეხბურთო კლუბი “მარგვეთი 2006” მიერ წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია (მიღებული დაფინანსება, აღნიშნული დაფინანსების გამოყენება, მონაცემები ფინანსური მდგომარეობის და ვალდებულებების არსებობის შესახებ 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში) ხელშეკრულებების მიხედვით გათვალისწინებულ მოთხოვნებს .

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ თქვენთან შეთანხმებული პროცედურები, რომელიც შეეხებოდა ა(ა)იპ **”ზესტაფონის მიხეილ სალაძის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის საფეხბურთო კლუბ ”მარგვეთი 2006”** -ის მიერ 2025 წელს მიღებული დაფინანსების ფარგლებში ჩატარებული აქტივობების ფინანსური შედეგების ანგარიშს კერძოდ, კლუბის მიერ დაფინანსების ფარგლებში გაწეული ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტაციას. ჩატარებული პროცედურებით მიღებული შედეგების დონე ჩვენი პროფესიული შეფასებით გონივრულია, რადგან ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ისეთ გარემოებას, როელიც დაგვარწმუნებდა, რომ განსახილველი საგანი (ფინანსური ინფორმაცია) შეიცავს არსებით უზუსტობას.

მოსაზრების საფუძველი

დამკვეთის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელიც ძირითადად მიღებულია ა(ა)იპ **”სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის”** ბუღალტრული აღრიცხვის სისტემიდან და ძირითადად ეხება იმ დაფინანსებას, რომელიც გრანტის სახით მიღებულია ფეხბურთის განვითარების ფედერაციიდან 2025 წლის 11 თებერვლის №25-ლ3-გ-მარგ.001 ხელშეკრულების საფუძველზე, ასევე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიიდან მერიის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში დამტკიცებული ბიუჯეტით მიღებულ სუბსიდირებას.

დამკვეთის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მიღებული თანხის ხარჯვის შესახებ.

პასუხისმგებელი მხარეს, ჩვენს შემთხვევაში წარმოადგენს დამკვეთი მხარე, რომელიც პასუხისმგებელია მოწოდებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სამართლიანობასა და კეთილსინდისიერებაზე და შესაბამისად აღნიშნული საგნის მიმართ შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა:

ამ გარიგების მიზნებისათვის ჩვენ შევასრულეთ შეთანხმებული პროცედურები დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4400(გადასინჯული) ”გარიგებები შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე” შესაბამისად, რაც გულისხმობს, ჩვენ ვატარებთ შეთანხმებულ პროცედურებს და ანგარიშში წარმოვადგენთ ინფორმაციას ჩატარებული პროცედურების ფაქტობრივი შედეგების შესახებ. ჩვენ ვადასტურებთ, რომ ვართ დამოუკიდებლები სუბიექტისაგან და არ გაგვაჩნია არანაირი დაინტერესება აუდიტის შედეგის მიმართ. ვმოქმედებდით ეთიკის შესაბამისი ნორმებით, კერძოდ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული 4ა და 4ბ ნაწილით განსაზღვრული მოთხოვნებით.

შპს”აუდიტი XXI”
გარიგების პარტნიორი: **ეთერი გოგია**



25.05.2026 წ

ანგარიში

განსახილველი საგანი: ა(ა)იპ ზესტაფონის მ. სალაძის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის მიერ ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს საფეხბურთო კლუბი "მარგვეთი 2006"-ის მონაცემებს: ხელშეკრულებები, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები, მომსახურების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები, სახელფასო ვალდებულებების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღებული დაფინანსების ფარგლებში გაწეული აქტივობების ხარჯებზე და ვალდებულებების შესახებ შეთანხმებულ პროცედურებზე ანგარიშის წარდგენა.

კრიტერიუმები: განსახილველი საგნის შესაფასებლად გამოყენებული კრიტერიუმები

პროცედურები: შესაბამისი დოკუმენტების შესწავლა, მათი შესაბამისობის დადგენა სამართლებრივ და კანონის მარეგულირებელ მოთხოვნებთან. ჩატარებული პროცედურებისა და მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბება.

შესავალი

ა(ა)იპ ზესტაფონის მ.სალაძის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2013 წლის 18 მარტს დამფუძნებელია ზესტაფონის მუნიციპალიტეტი. დირექტორია გურამ კაკოიშვილი (პ/ნ 18001022559). ცენტრის დაქვემდებარებაშია საფეხბურთო კლუბი "მარგვეთი 2006"

სააღრიცხვო პოლიტიკა

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრს ბუღალტრული აღრიცხვა ნაწარმოები აქვს ბუღალტრული ანგარიშგების მეთოდოლოგიითა და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციებით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკითა და დამტკიცებული ანგარიშთა გეგმის შესაბამისად

შეფასების და წარდგენის ვალუტა

შეფასების ვალუტა უნდა ატარებდეს სასარგებლო ინფორმაციას, რომელიც ასახავს პირთან დაკავშირებულ მოვლენების და გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ა(ა)იპ "ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრი" თავის ოპერაციებში ფუნქციონირებად ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს პირის ოპერაციებზე, წარმოდგენილ ფინანსურ ინფორმაციაში შეფასების ვალუტად პირს გამოყენებული აქვს ქართული ლარი მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე.

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, შემოსავლები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, როცა მოხდა მისი გამომუშავება, მიუხედავად იმისა, მიღებულია თუ არა მის სანაცვლოდ ფულადი ან სხვა ეკონომიკური ხასიათის კომპენსაცია.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიური დაფარვის მომენტისა.

შემოსავლების აღრიცხვა ფინანსურად ხდება წყაროების მიხედვით, ხოლო ხარჯებისა ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

შემოსავლები

- 2025 წელს ცენტრის ანგარიშზე გრანტის სახით ჩარიცხულია 200 000 ლარი. საფუძველი: 2025 წლის 11 თებერვალს ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდსა და ა(ა)იპ ზესტაფონის მიხეილ სალაძის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულება (№25-ლ3-გ-მარგ.001).
- 2025 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტიდან მიღებული სუბსიდირება შეადგენს 195 000 ლარს.

საფუძველი

1. 2024 წლის 27 დეკემბრს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერსა და ზესტაფონის მიხეილ სალაძის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის დირექტორს შორის ხელმოწერილი განრიგი 2025 წელს ფეხბურთის გუნდის 150 000 ლარით სუბსიდირების შესახებ
2. 2025 წლის 21 ნოემბრის ზესტაფონის მუნიციპალიტეტიდან ფეხბურთის გუნდის დამატებით 45 000 ლარით სუბსიდირების შესახებ(№05-222532589)

ხარჯები

მიწოდებული მომსახურების ღირებულება

- 2025 წელს ფეხბურთელებზე ხელფასის სახით გადახდილი თანხა შეადგენს 305 000 ლარს (დასტურდება ხაზინის ამონაწერის მიხედვით)
- 2025 წელს ა(ა)იპ საქ.ფეხბურთის ფედერაციას გადაერიცხა 31 000 ლარი
- სხვა დანარჩენ მომსახურებაზე- 5 100 ლარი
- აუდიტორულ მომსახურებაზე 8 400 ლარი
- მივლინებაზე 1 000 ლარი
- სამედიცინო მომსახურებაზე 5 500 ლარი
- სხვა მომსახურებაზე 29 000 ლარი

- ლიცენზირების გადასახადი 10 000 ლარი

სულ დანახარჯების ჯამი შეადგენს 395 000 ლარს.

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ანგარიშში ასახულია ნომინალური ღირებულებით, აქტივები და მოთხოვნები ძირითადად წარმოქმნილია მომსახურების მიწოდებით, საფეხბურთო კლუბს დასკვნის შედგენის თარიღისათვის ამ სახის მოთხოვნები არ ერიცხება.

ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული მომსახურებისათვის გადასახდელ ვალდებულებას, ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა ერთ წელზე მეტია, კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი ვალდებულება, პირს გრძელვადიანი ვალდებულება აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში არ ერიცხება.

ვალდებულებების გადამოწმების მიზნით შერჩევითი მეთოდით გადამოწმდა ხელფასების უწყისები, ხელშეკრულებები ფეხბურთელებთან. ასევე შერჩევითი მეთოდით გადამოწმდა სხვა მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები).

გადამოწმებით საფეხბურთო კლუბ ‘მარგვეთი 2006”ს 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით ვალდებულებები არ ერიცხება.

რეზიუმე

ჩვენს მიერ ჩატარებული შეთანხმებული პროცედურების საფუძველზე მიღებული ფაქტობრივი შედეგების ანგარიში განკუთვნილია დასკვნის შესავალში მითითებული მომხმარებელებისათვის და გამიზნულია მათი ინფორმირებისათვის 2025 წლის 11 თებერვლის №25-ლ3-გ-მარგ.001 ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული გრანტის, ასევე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2025 წელს მიღებული თანხის მართლზომიერად ხარჯვის დასტურად.